შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის გამოსვლა ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე. 2015 წლის 4 ნოემბერი.

მოგესალმებით საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის წევრებო, ქალბატონებო და ბატონებო! დარწმუნებული ვარ, ეს პირველი სხდომა ნაყოფიერი იქნება და კომიტეტის საქმიანობას მომავალშიც სერიოზული განვითარება ექნება. საქართველოსთვის ევროპის სხვადასხვა ინსტიტუტთან მაქსიმალურ ინტეგრაციას დიდი მნიშვნელობა აქვს. მოგეხსენებათ, კონფლიქტები საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა. ჩვენს ხელისუფლებას არ დახვდა ამ კონფლიქტების მოგვარების საუკეთესო პირობები, მაგრამ მიგვაჩნია, რომ გარკვეულწილად მოვახერხეთ, გარდაგვეტეხა ბოლო წლებში არსებული გარკვეული არსებული სტაგნაცია და ძველი პოლიტიკა, რომელმაც არ გაამართლა. ვფიქრობ, ვითარება სამშვიდობო რელსებზე გადაყვანა შევძელით, რამაც შექმნა დამატებითი როგორც რესურსები, ისე გამოწვევები, პირველ რიგში, რუსეთის მხრიდან.

მსურს წარმოგიდგინოთ სამი ძირითადი მიმართულება, რომელიც დაეყრდნო ახალი ხელისუფლების სტრატეგიას. პირველი მიმართულება ოსურ და აფხაზურ საზოგადოებებთან ურთიერთობების აღდგენაა, რომლებიც შეწყვეტილი იყო 2007 წლიდან. ამან სამწუხაროდ, მოიტანა 2008 წლის დაძაბულობა სამხრეთ ოსეთში, შემდეგ რუსული ოკუპაცია და რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარება. მას შემდეგ აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან კონტაქტები არ არსებობდა. პირველი მიმართულება იყო ამ ურთიერთობების აღდგენა.

მეორე მიმართულება, რომელიც ეფუძნება კონფლიქტების მოგვარებას, ეს არის საქართველოს მეტი დემოკრატიზაცია, ევროპულ და ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში მისი მეტი ჩართულობა, ინსტიტუციონალიზაცია.

და მესამე მიმართულება, რომელმაც კონფლიქტების მოგვარებას უნდა შეუწყოს ხელი, არის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დალაგება, რამდენადაც ეს შესაძლებელია დღევანდელ ვითარებაში, როცა საქართველოსა და რუსეთს შორის არ არსებობს დიპლომატიური ურთიერთობა. ეს საკითხი, ბუნებრივია, ვერ გადაიხედება, ვიდრე რუსეთს აღიარებული აქვს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. თუმცა, არსებობს ბევრი სხვა რესურსი, რათა მოხდეს ვითარების განმუხტვა, მათ შორის აბაშიძე-კარასინის ფორმატი. ეს რესურსები ქმნის ფონს, რათა აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან გვქონდეს ურთიერთობები.

შეიძლება ითქვას, რომ სამივე მიმართულებით გვაქვს პროგრესი. რუსეთთან მიმართებაში ვითარება უფრო სტაბილური და წინასწარ განჭვრეტადია და ეს ტაქტიკური ნაბიჯების შედეგია. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან მეტი ინსტიტუციონალიზაცია. აქ არის ძირითადი მომენტი დღევანდელი ჩემი მესიჯისა - საქართველო არა მხოლოდ რეგიონში, არამედ, როგორც ეს ბევრ ევროპელ

პოლიტიკოსს უღიარებია, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატში, ითვლება ლიდერ სახელმწიფოდ დემოკრატიული რეფორმების მიმართულებით. რა თქმა უნდა, გამოწვევა ბევრი გვაქვს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით საქართველოს მოსახლეობისა და ხელისუფლების ხედვები ერთმანეთს ემთხვევა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ამ პროგრესს ჰქონდეს მეტი დაფასება კონფლიქტების მიმართულების კონტექსტში, ვინაიდან აფხაზური და ოსური საზოგადოებები ცალსახად და მკაფიოდ ელოდებიან, რამდენად წარმატებული იქნება საქართველო ევროპულ ინსტიტუტებში ინტეგრაციით. იმიტომ, რომ მათ დღეს აქვთ მკაფიო და ცალსახა რუსული პოლიტიკა, რაც ხორციელდება ტერიტორიაზე ოკუპაციის სახით და მათ აქვთ გარკვეული პერსპექტივები, თუ როგორი იქნება საქართველო რამდენიმე წელიწადში, სად იქნება და იქნება ეს თუ არა მკაფიოდ გამოკვეთილი ევროპულ ინსტიტუტებში ინტეგრაცია. ამიტომ ამ ორი პერსპექტივიდან ჩვენ მათ უნდა მივცეთ მეტი შანსი, რათა დაინახონ, სად არის მათი მომავალი, თუ საქართველო მეტად იქნება წარმატებული დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებით, რეფორმებით და ევროპული ინტეგრაციით. კარგად გვესმის, რომ დიდი გზა გვაქვს გასავლელი ევროპული მიმართულებით, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს პროცესს, ღირებულებების დაცვას, რათა ეს ცალსახა და მკაფიო იყოს ჩვენი მოსახლეობისთვის, რომელიც დღეს დარჩენილია ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

სწორედ ამ პოლიტიკამ და საქართველოს შეუქცევადმა ნაბიჯებმა ევროპული ღირებულებებისაკენ გამოიწვია რუსეთის ახალი რეაქცია, რომელიც ექვემდებარება ანალიზს. ეს ეხება არა მხოლოდ უკანონო ხელშეკრულებებზე მუშაობას და ხელმოწერას, არამედ მავთულხლართებს და სხვა მიმართულებებს. აშკარად ჩანს, რომ რუსეთი შეშფოთებულია იმ დაახლოების ტენდენციით, რომელიც იგრძნობა ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ საზოგადოებებში. ეს ნამდვილად არის და ჩვენ მართლაც მოვახერხეთ ურთიერთობებში სერიოზული ნაბიჯების გადადგმა. საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა მოქალაქეებისა გადმოდის ოკუპირებული ტერიტორიებიდან დანარჩენ საქართველოში, რათა მიიღონ ის სიკეთეები, რომლებსაც საქართველოს სახელმწიფო სთავაზობს. ეს არის პირველ რიგში მედიცინა, მაგრამ უკვე არა მხოლოდ მედიცინა, არამედ გამოიკვეთა სხვა ინტერესებიც - ბიზნესი, განათლება, დასვენება, ნათესაური ურთიერთობების აღდგენა და ასე შემდეგ. აშკარად ჩანს, რომ ამ მიმართულებით რუსეთი მის მიერ დეკლარირებულ პოზიციებს ეჭვქვეშ აყენებს - რუსეთის პირველმა პირებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ ისინი მიესალმებოდნენ ქართულ-აფხაზურ თუ ქართულ-ოსურ ურთიერთობებს, მაგრამ სინამდვილეში ოკუპირებულ ტერიტორიებზე ნებისმიერი ასეთი ნაბიჯის ბლოკირებას ვაწყდებით. ცალსახად ჩანს, რომ ისინი ხალხს ხელს უშლიან, პირველ რიგში ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, ასევე დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს ქართულ მხარესთან კონტაქტში.

სამი წელი საკმარისი დროა, რათა ჩვენი დეკლარირებული პოლიტიკიდან დაგვედასტურებინა, რომ სამშვიდობო პოლიტიკას რეალურადაც ვახორციელებთ. სამი წლის

განმავლობაში ჩვენ გამოვრიცხეთ აგრესიული რიტორიკა, აგრესიული მოქმედებები. გამყოფი ხაზის გასწვრივ არ ყოფილა არანაირი ესკალაციის ნიშნებიც კი, რომელიც შემდგომში შესაძლოა, გაგრძელებულიყო საომარი მოქმედებების მიმართულებით. ამან მოიტანა ის შედეგი, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი მეტად ენდობა უკვე დანარჩენ საქართველოს. ამ პოლიტიკამ შექმნა ის განწყობა, რომ შეიძლება, აფხაზური და ოსური საზოგადოებები დაინტერესდნენ საქართველოს ევროპული პერსპექტივებით. ეს მავთულხლართები თუ ეს ე.წ. ხელშეკრულებები მიმართულია ამ ტერიტორიების მეტი ანექსირებისკენ. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არ ცხოვრობს ეთნიკურად, კულტურულად, იდენტობით რუსი მოსახლეობა. ისინი ძირითადად კავკასიელები არიან, ეს ჯგუფები რუსეთისგან კულტურულად არსებითად განსხვავდებიან. შესაბამისად, მათ არ აქვთ წარმოდგენები, განსაკუთრებით აფხაზეთში, რომ შეიძლება რუსეთში მათი ინტეგრაცია სრულად მისაღები იყოს. იქ ამის წინააღმდეგ გარკვეული ბრძოლა მიმდინარეობს და ჩვენ გვსურს, რომ ამ წინააღმდეგობას ხელი შევუწყოთ და ერთ-ერთი ფაქტორი არის სწორედ მეტი ევროპა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, თქვენი მეტი ჩართულობა. პირველ რიგში, მინდა, დიდი მადლობა გადაგიხადოთ არაღიარების პოლიტიკისათვის. არაღიარების მკაფიო პოლიტიკა საქართველოს ხელს უწყობს, რათა ჩართულობის მეტი პროექტი განახორციელოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ეს განსაკუთრებით ეხება ევროკავშირის მხარდაჭერას, ისეთ სერიოზულ პროექტებს, როგორიცაა “კობერმი“, რომელიც ხელს უწყობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას. თუ ადრე ამ მიმართულებით ნდობა არ იყო და ითვლებოდა, რომ ეს იყო თითქოსდა ქართული პროექტი, დღეს განსაკუთრებით აფხაზეთში, ისევე როგორც ცხინვალის რეგიონში, ევროკავშირის ამ სერიოზულ პროგრამას, როგორიცაა „კობერმი“ ცალსახა ნდობა აქვს და ჩემი აზრით, საჭიროა, რომ ამ მიმართულებით განხორციელებული იყოს მეტი ძალისხმევა გაეროსა და ევროკავშირის ერთობლივი მოქმედებით.

გარდა ამისა, რა თქმა უნდა, სხვა ევროპული ინსტიტუტები მნიშვნელოვნად გვეხმარებიან, ხორციელდება ევროსაბჭოს პროექტები. მთლიანობაში აშკარად ჩანს, რომ ეს ხელს უწყობს ნდობის აღდგენას და მოსახლეობის მეტ ნდობას დღევანდელი საქართველოს მიმართ და ვთვლი, რომ ეს თქვენი მხრიდან სერიოზული მხარდაჭერაა. ამიტომ ამ ფორმის - ამ კომიტეტის ჩამოყალიბება, მნიშვნელოვანია და არის კიდევ ერთი ნაბიჯი, რათა მოხდეს ევროპული ინსტიტუტების გაძლიერება ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში. მიმაჩნია, რომ საინტერესო იქნებოდა, თქვენი გამოცდილება, მათ შორის კვიპროსის მიმართულებით, საქართველოშიც ყოფილიყო შესწავლილი. მართალია, საქართველო კვიპროსის მსგავსად ჯერ არ არის ევროკავშირის წევრი, მაგრამ ამის მიუხედავად, ის პროდუქტები, რაც ხორციელდება ჩრდილოეთ კვიპროსში, შეიძლებოდა საქართველოს მიმართაც ყოფილიყო განხილული და ამით მეტად ყოფილიყო წარმოდგენილი ევროპა ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

ამ სირთულეებმა მკაფიოდ გამოავლინა ის დაძაბულობა, რაც დღეს არის გალის რაიონში და მსურს, ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციო. ძალიან მნიშვნელოვნად შეიზღუდა ქართულის, როგორც მშობლიური ენის გამოყენება სკოლებში და ხდება მისი ჩანაცვლება რუსული ენით. ეს რა თქმა უნდა, არის ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევა. სასკოლო ჟურნალები და სკოლების ადმინისტრაციის დოკუმენტებიც კი სკოლებში რუსეთის ფედერაციის განათლების სამინისტროდანაა. აშკარად ჩანს, რომ მიმდინარეობს ქართულენოვანი რეგიონების რუსიფიცირება, რაც ვერ მოახერხეს ბოლომდე ეთნიკური წმენდით - დანარჩენ ტერიტორიაზე ეთნიკური წმენდა განხორციელდა. იქ, სადაც შემორჩა ქართული მოსახლეობა, ხდება მათი რუსიფიცირება, ამ თემაზე უკვე გვაქვს კონტაქტები და მიმაჩნია, რომ საჭირო იქნება ამ მიმართულებით ყურადღების მიქცევა.

არ მინდა, დიდი დრო წაგართვათ. წარმატებას გისურვებთ ამ მიმართულებით და ვთვლი, რომ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მუშაობის ერთ-ერთი საინტერესო შედეგი შეიძლება იყოს საგზაო რუკის შექმნა, რომელიც მკაფიოდ გამოკვეთს საპარლამენტო ურთიერთობებს კონფლიქტების და ოკუპირებული ტეროტორიების მიმართულებით. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ, როგორც მთავრობა მაქსიმალურად მხარში ამოვუდგებით ასეთ საქმიანობას. დიდი მადლობა.

კითხვა-პასუხი:

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარე გია ვოლსკი:

რამდენჯერმე დავიწყეთ საუბარი იმის შესახებ, რომ საჭიროა, ის სტანდარტი შემოვიღოთ, რომ ევროსაბჭოსგან მეორად არ მივიღოთ სანქცია. ევროსაბჭოს დელეგაციაში იმყოფებოდა ადამიანი, რომელმაც დაარღვია „საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“. ჩვენ არ დავუშვით ამ ადამიანის შემოსვლა, მიუხედავად რამდენიმე მკაფიო მომართვისა. შეიძლება, რომ კანონპროექტში შემოვიტანოთ ფორმულირება, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ავწონ-დავწონოთ მიზანშეწონილობა და საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე გადავწყვიტოთ, დავუშვათ თუ არა ესა თუ ის პირი საქართველოს ტერიტორიაზე, რადგან იყო რამდენიმე დარღვევა იმის გამო, რომ ვერ დააკავებ მაგალითად, გამოჩენილ მსახიობს ან შემოქმედს, რომელსაც დარღვეული აქვს კანონი, მაგრამ შემოვიდა საქართველოში. სკანდალს ვერიდებით თუ არ გვაქვს მექანიზმი, რომ უფრო მკაცრად დავიცვათ ეს კანონი. თუ არ გვაქვს ასეთი მექანიზმი, შემოვიტანოთ.

პაატა ზაქარეიშვილი: დიდი მადლობა, ბატონო გიორგი. როგორც კი მოვედით ხელისუფლებაში, შეიძლება, ითქვას, რომ ეს იყო ერთ-ერთი პირველი ინიციატივა, რომელიც 2012 წლის ბოლოს შეიქმნა და 2013 წლის იანვარში გაჟღერდა, იყო სწორედ ის, რომ მომხდარიყო კანონში ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ გარკვეული ცვლილების

შეტანა, უნდა გადადგმულიყო ნაბიჯები დეკრიმინალიზაციის მიმართულებით. ამ კანონის მიხედვით საკმაოდ ბევრი ადამიანი, უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც, როგორც წესი, ისინი არიან არა რუსეთის, არამედ მაგალითად, თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის მოქალაქეები, რომლებიც მოდიოდნენ რუსეთიდან და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე ხვდებოდნენ ოკუპირებული ტერიტორიების გავლით, ამ კანონის მიხედვით ხდებოდნენ სისხლის სამართლის დამნაშავეები. მოხდა პარლამენტში ამ კანონპროექტის ინიცირება, მაგრამ პირველი მოსმენის შემდეგ გადაიდო სხვადასხვა კანონზე მუშაობის გამო და შემდეგ გაჩერდა ეს სამუშაო. მიმაჩნია, რომ საჭიროა ამ საკითხზე დაბრუნება, არა მხოლოდ პოზიციის, არამედ სხვა პოზიციების გადახედვაც არის საჭირო. ჩვენ გვქონდა კონსულტაციები იუსტიციის სამინისტროსთან. პრემიერმინისტრთან არსებობს ჯგუფი, რომელიც მუშაობს კონფლიქტურ ტერიტორიებზე არსებული პრობლემების გადაჭრაზე. ამ ჯგუფში გვაქვს მსჯელობა, თუ როგორ შეიძლება, ეს კანონი დაიხვეწოს იმდენად, რომ ებრძოდეს ოკუპაციას და არ ზღუდავდეს ადამიანის უფლებებს. ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს და დარწმუნებული ვარ, ცოტა ხანში ახალი რედაქციით პარლამენტის წინაშე წარვდგებით ამ კანონში ცვლილებების განხორციელების მიმართულებით.

ევროპარლამენტის წევრი ჰეიდი ჰაუტალა: მინდა, ვკითხო მინისტრ ზაქარეიშვილს, რა შეგვიძლია, გავაკეთოთ ევროპარლამენტში? შესაძლოა, მეტი რამ უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ადამიანებს შორის კონტაქტებს შევუწყოთ ხელი, განსაკუთრებით კი მასებს შორის ურთიერთობებს? უკვე ვმუშაობთ ამაზე, მაგრამ ხომ არ უნდა გავაძლიეროთ ძალისხმევა?

პაატა ზაქარეიშვილი: რა შეიძლება, გააკეთოს ევროპარლამენტმა? მართლაც საკმაოდ ბევრი კეთდება და ამისთვის დიდი მადლობა. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, უნდა გაგრძელდეს და არავითარ შემთხვევაში არ მოდუნდეს არაღიარების პოლიტიკა. ეს არის ის გარკვეული პირობა, სადაც თქვენთან ერთად, ჩვენი დასავლელი პარტნიორების მეშვეობით მეტი ჩართულობის საშუალება გვეძლევა ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებმა მოსახლეობამ ცალსახად და მკაფიოდ უნდა იცოდეს, რომ ძალით და იარაღით მოპოვებული გარკვეული შედეგები, მით უმეტეს, თუ ეს ხდება ეთნიკური წმენდის ხარჯზე და ტერიტორიიდან ეთნიკური ჯგუფების გამოდევნით, არ შეიძლება, ეს შედეგები მიღწევად ჩაეთვალოთ. ამიტომ არაღიარების პოლიტიკა მკაფიოა. ამ ფონზე ბუნებრივია, შეიძლება, განხორციელდეს უკვე დამატებითი პროექტი, რასაც თქვენ ახორციელებთ და შევთავაზოთ აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებს, რომ შეიძლება იყოს სხვა გამოსავალი გარდა ძალით მოპოვებული გარკვეული წარმატებისა. ეს არის სწორედ ის პროექტები, ღონისძიებები, რაც დღეს ევროპაში ხორციელდება სხვადასხვა მიმართულებით. ევროპასაც აქვს თავისი გამოწვევები სხვადასხვა სეპარატისტულ რეგიონთან დაკავშირებით, და ეს ხორციელდება კანონის ძალით, კონსტიტუციის ფარგლებში და ჩვენ გვსურს, რომ შევთავაზოთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩვენს მოსახლეობას, კონსტიტუციის ფარგლებში მივაღწიოთ მათი პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების დაცვას. საქართველო მზად არის, განიხილოს და ჩვენ გვაქვს გარკვეული ხედვები და მოსაზრებები, როგორი შეიძლება

იყოს ფედერაციული მოწყობა საქართველოსი, სადაც აფხაზეთს ექნება განსაკუთრებული სტატუსი და ამაზე ცოტა არ არის ნამუშევარი ჩვენს ოპონენტებთან ერთადაც კი. ასე რომ, ჩვენ ნამდვილად მზად ვართ, გვქონდეს მეტი გახსნილობა ამ მიმართულებით და ევროპული სტანდარტებით, ხედვებით, ღირებულებებით, როგორი შეიძლება იყოს სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობა. რა თქმა უნდა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის მუშაობა რუსეთთან, რადგან რუსეთი აშკარად ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს. ერთის მხრივ, ის საჯაროდ აცხადებს, თითქოს წინააღმდეგი არ არის ადგილზე ხალხთა შორის ურთიერთობებისა, მაგრამ დამერწმუნეთ, გვაქვს უამრავი ფაქტი სადაც მკაფიოდ ჩანს, რომ რუსეთი ცდილობს, ყველანაირად ხელი შეუშალოს ოსური და აფხაზური საზოგადოებების დაახლოებას საქართველოს სახელმწიფოსთან. რუსეთს მიაჩნია, რომ ჩვენს მიერ არჩეული სამშვიდობო პოლიტიკა აშკარად მიმზიდველი აღმოჩნდა ამ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის. ამიტომ ევროკავშირი საკმაოდ სერიოზული ინსტიტუტია, რათა თავის დღის წესრიგში მუდმივად ჰქონდეს მკაფიოდ ჩადებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხები რუსეთთან მიმართებაში. დაბეჯითებით შემიძლია, გითხრათ, რომ ჩვენ სამშვიდობო პოლიტიკას არ გადავუხვევთ, საომარი მოქმედებებით ტერიტორიების დაბრუნებაზე ფიქრიც კი გამორიცხულია. ამ ფონზე ჩვენ მართლაც გვაქვს უპირატესობა, რომ რუსეთსაც შევთავაზოთ, დაინახოს ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკა და აქ თქვენი მხარდაჭერა პრინციპული და მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი იქნება.

პარლამენტის წევრი თინათინ ბოკუჩავა: როდესაც საუბარია პირდაპირ კონტაქტებზე და აბსოლუტურად გეთანხმებით, რომ უმნიშვნელოვანესი საკითხია და არ შეიძლება, რომ საუბარმა სტატუსზე მსხვერპლად შეიწიროს სწორედ ეს პირდაპირი კონტაქტები და ჰუმანიტარული და ადამიანური მხარე ამ ოკუპაციისა. რამდენიმე წლის წინ შევიმუშავეთ სტატუსნეიტრალური დოკუმენტები, რომლებიც შეეძლოთ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს გამოეყენებინათ საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ. გვქონდა რამდენიმე ქვეყნის, მათ შორის ევროპული ქვეყნების მხრიდან დადებითი აღიარება ამ სტატუსნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტებისა. გრძელდება თუ არა ეს პროცესი, რომელიც, ჩემი აზრით, მნიშვნელოვნად დაეხმარება ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებს, მიიღონ ისეთი სერვისები, როგორიცაა სამედიცინო სერვისი საქართველოს შიგნით, მაგრამ ასევე შეეძლოთ ლეგიტიმური დოკუმენტით შეეძლოთ საქართველოს ფარგლებს გარეთაც გამგზავრება.

პაატა ზაქარეიშვილი: მოკლედ შევეხები IPRM-ს. საქართველოს კეთილი ნება ჩანს იმაში, რომ ცხინვალის მიმართულებით, ერგნეთში რეგულარულად ტარდება IPRM-ის შეხვედრები. ჩვენ გვსურს, რომ ეს ფორმატი არსებობდეს და ეს კარგად ჩანს სამხრეთ ოსეთის მიმართულებით. ხოლო იმის მიზეზი, რომ აფხაზეთის მიმართულებით ეს ფორმატი ვერ მუშაობს, აშკარად არის ის, რომ აფხაზური მხარიდან არის უსაფუძვლო პრეტენზიები და წინადადებები. ჩვენ ამაზე ვმუშაობთ, მაგრამ ვცდილობთ, მინიმუმზე დავიყვანოთ ეს უსაფუძვლო პრეტენზიები

და დავანახოთ აფხაზური მხარეს, IPRM მხარეების და მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარეობს.

რაც შეეხება სტატუსნეიტრალურ დოკუმენტებს, ეს დოკუმენტები, რა თქმა უნდა, მუშაობს, მათ მიმართ დამოკიდებულება არ შეცვლილა. ეს იყო კეთილი სურვილი და განწყობა წინა ხელისუფლებისა, რომ ამ დოკუმენტებით გარკვეული ალტერნატივა შექმნილიყო და ალტერნატივა არსებობს, მაგრამ როგორც ჩანს, ბოლომდე კარგად მაინც არ იყო გათვლილი, რადგან ჩვენ ჩავატარეთ კვლევები, მათ შორის გამოკითხვა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. იქ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, რომელსაც ამ დოკუმენტზე აქვს ინფორმაცია, მაინც მიიჩნევს, რომ ურჩევნია, ქართული პასპორტი აიღოს. დროის იმ მონაკვეთში, რომელშიც საერთაშორისო მგზავრობისთვის 27-მა ადამიანმა აიღო სტატუსნეიტრალური დოკუმენტები, საქართველოს მოქალაქის პასპორტი 300-ზე მეტმა ადამიანმა აიღო. ამ ფონზე ჩვენ რა თქმა უნდა, ვმუშაობთ, რომ ეს ალტერნატივა დარჩეს, მაგრამ ჩვენი პროგრესი ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის მიმართულებით გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ უმჯობესია, ამ საკითხს ვიზალიბერალიზაციის შემდეგ დავუბრუნდეთ, რადგან ყველა ინფორმაციით აშკარად ჩანს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ნაწილის დაინტერესება გაიზრდება საქართველოს სახელმწიფო პასპორტის მიმართ, როგორც ეს მოხდა კვიპროსზე ევროკავშირში გაწევრიანებისას და მოლდოვას მიერ ვიზალიბერალიზაციის მიღებისას. ვფიქრობ, ეს ალტერნატივა უფრო მნიშვნელოვანია, თუმცა, ცალსახად მხარს ვუჭერ, რომ დარჩეს სტატუსნეიტრალური დოკუმენტი და მის მიმართ ინტერესი არ დაიკარგოს.

პარლამენტის წევრი გიორგი ვაშაძე: ჩემი შეკითხვა ეხება დეოკუპაციის საკითხს და რეგიონალურ კონტექსტს. სამწუხაროდ, ჩვენ გვყავს მეზობელი ქვეყანა უკრაინის სახით, რომელსაც შეექმნა იგივე პრობლემა, რაც საქართველოს აქვს. 2008 წელს, როცა საქართველოს წინააღმდეგ რუსული აგრესია განხორციელდა, ბევრი საუბრობდა იმის შესახებ, რომ ამით არ დამთავრდებოდა ეს ყველაფერი და შეიძლებოდა, ყოფილიყო სხვა ქვეყნებიც. ვხედავთ, რომ დღეს ანექსირებულია ყირიმი, მიმდინარეობს ოკუპაცია დონბასსა და ლუგანსკში. მაინტერესებს, მუშაობს თუ არა საქართველოს მთავრობა იმაზე, რომ არსებობდეს რაიმე საერთო სტრატეგია ჩვენს რეგიონალურ პარტნიორებთან ერთად, მით უმეტეს, რომ ასოცირების შეთანხმებაშიც რეგიონულ კონტექსტში უკრაინასთან ერთად განვიხილებით. ღიად ვთქვათ, რომ პრობლემები გავქვს ერთი და იგივე, ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებული არის ერთი და იგივე სახელმწიფოს მხრიდან, ამ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდა შეიარაღებული აგრესია. აწარმოებს თუ არა რაიმე მუშაობას საქართველოს ხელისუფლება ამ მიმართულებით, რომ რეგიონალურად უფრო გავამყაროთ ჩვენი პოზიციები და ჩვენს პარტნიორებთან ერთად გამოვიდეთ ამ პროცესში? და მეორე საკითხი: მაინტერესებს, სანქციებთან დაკავშირებით რა პოზიცია აქვს საქართველოს ხელისუფლებას? როგორც ვიცი, საერთაშორისო საზოგადოებამ შესაბამისი სანქციები დააწესა რუსეთთან მიმართებაში და რა

პოზიციაა ამ შემთხვევაში. ეს გამომდინარეობს იმ ოკუპაციიდან და იმ აგრესიიდან, რაც რუსეთმა განახორციელა. რა პოზიცია საქართველოს მთავრობას ამასთან მიმართებაში?

პაატა ზაქარეიშვილი: რა თქმა უნდა, მაქვს ჩემი ხედვები და მკაფიოდ ვიცი, რა ვუპასუხო, მაგრამ ეს საგარეო მიმართულებებია. მე კი აქ საქართველოს შიდასაკითხებზე ვიმყოფები, ეს არის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართულება და ჩემი პასუხი ვერ ჩაითვლება კომპეტენტურად. თუმცა, მიმაჩნია, რომ წყარო აგრესიისა, რა თქმა უნდა, არის ერთი და იგივე - როგორც უკრაინის, ისე საქართველოსთან მიმართებაში, მაგრამ ჩვენ სხვადასხვა რესურსები გაგვაჩნია. დღეს ბოლომდე ჩავებათ უკრაინის კონტექსტს და უკრაინად წარმოვაჩინოთ საქართველო, არ იქნებოდა სწორი. მეტიც, საქართველოს ორ ტერიტორიას - აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის დიდი განსხვავებაა, რომ აღარაფერი ვთქვათ რამხელა განსხვავებაა უკრაინასა და საქართველოს წინაშე მდგარ გამოწვევებს შორის. მაგალითად, აფხაზური საზოგადოებისთვის მიუღებელია რუსეთში მთლიანად ინკორპორაცია, რაც სხვანაირად გამოიყურებოდა ყირიმში. ამიტომ ჩვენ კეთილი უნდა ვინებოთ და კარგად შევისწავლოთ, რა ხდება ამ ტერიტორიებზე და იმ რესურსებით ვებრძოლოთ რუსეთის მიერ შექმნილ გამოწვევებს. მე მაინც მინდა, რომ მსოფლიომ დაინახოს პროგრესი, თუ რამდენად გვაქვს დიალოგი ჩვენს ხალხთან - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რათა ეს პროგრესი ჩაითვალოს საქართველოს მცდელობად და სხვანაირი მხარდაჭერა მივიღოთ დასავლეთიდან, ვიდრე ის, რომ ჩვენ ვერ ვუმკლავდებით ჩვენს გამოწვევებს და ამით თითქოს, ერთსა და იგივე მდგომარეობაში ვართ. ჩვენ გვაქვს ჩვენი გამოცდილება და მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, არ მოხდეს უპერსპექტივობის შექმნა, როგორიც არის მაგალითად, სხვა სახელმწიფოს მიმართ და ჩვენთან არის პერსპექტივა და ამ პერსპექტივას უნდა მივდიოთ. რაც შეეხება სანქციებს, ეს საკითხი მართლაც შორსაა ჩემი თემებიდან, ამიტომ მე ვერ ვიქნები კომპეტენტური. სხვადასხვა სახელმწიფო თავისი ინტერესებიდან გამომდინარე ადგენს სანქციების ნუსხას. შეერთებულმა შტატებმა ეხლახანს გამოაცხადა, რომ რუსეთისგან სარაკეტო ძრავებს ყიდულობს. ანუ უნდა ვიმოძრაოთ სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე და ჩვენ გვაქვს რაღაც გარკვეული პაკეტი, რაზეც არაერთხელ იყო საუბარი, თუმცა, დეტალებზე ვერ ვისაუბრებ, რადგან შესაძლოა, არასწორი ინფორმაცია მოგაწოდოთ.

პარლამენტის წევრი ვიქტორ დოლიძე: რამდენად იყენებენ რუსები ჟენევის მოლაპარაკებებზე ამ სასპეკულაციო საკითხს და რას ვაკეთებთ ჩვენ იმისთვის, რომ რეალურად იყოს გამიჯნული და კითხვა არ დაისვას იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლებელია აბაშიძე-კარასინის ფორმატმა რაიმენაირად დააზიანოს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი.

პაატა ზაქარეიშვილი: არასდროს ჩვენს პარტნიორებში საკითხი ასე არ დასმულა. ის, რაც შიდაქართულ კონტექსტში გარკვეულწილად იწვევს ვნებათაღელვას და კითხვებს, თითქოს, ამან შესაძლოა, ხელი შეუშალოს ჩვენს საერთაშორისო ურთიერთობებს, მათ შორის ვალდებულებებს, ეს ორი ფორმატი ყველასთვის მისაღებია, პირველ რიგში, ჩვენთვის -

სახელმწიფოსათვის. მიმაჩნია, რომ ჩვენი პოლიტიკის ერთ-ერთი წარმატებული ნაბიჯია ის, რომ გავყავით ერთმანეთისგან საკითხები, რომლებიც გვარდება რუსეთთან იმ საკითხებისგან, რომლებიც ვერ გვარდება. ვერ გვარდება კონფლიქის საკითხები. დეოკუპაციისა და სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების პირობების შექმნაზე ჟენევის ფორმატი მუშაობს, ხოლო იმ საკითხებზე, რომლებიც რთულად, მაგრამ მოგვარებადია, მუშაობს აბაშიძე-კარასინის ფორმატი, რომელიც, შეიძლება, ჩაითვალოს, რომ გარკვეულწილად სერიოზულ შედეგებს გვაძლევს და უნდა გაგრძელდეს ამ მიმართულებით მუშაობა. ეს ფორმატები ერთმანეთს არანაირად არა თუ უშლის ხელს, არამედ ავსებს, რადგან წარმატებული პოლიტიკა კარასინი-აბაშიძის ფორმატის მიმართულებით ხელს უწყობს კონფლიქტებთან მიმართებაში სიტუაციის განმუხტვას. როდესაც გვაქვს კონტაქტები აფხაზურ და ოსურ მხარეებთან და ჩვენთან აქვთ პრეტენზიები, მათ ვეუბნებით, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებულია ჩვენი ტერიტორიები, არ გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობა და რუსეთს მაინც ველაპარაკებით და გარკვეული შედეგებიც გვაქვს. ამიტომ კეთილი ვინებოთ, დავსხდეთ ჩვენც და ვილაპარაკოთ იმ საკითხებზე, რომლებიც ჩვენ და თქვენ გვეხება. ანუ ეს დადებითი კონტექსტი აშკარად ხელს უწყობს კონფლიქტების მოგვარებასაც, თუმცა, პირდაპირ კავშირში არ არის.